



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მათემატიკა
სამაგისტრო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აგვისტო, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

7.09.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|--|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მათემატიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | მათემატიკის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მათემატიკა - 0541 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | N/A |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის # 53 გადაწყვეტილება) |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რომეო გალდავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|--|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამუკა ნადარეიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

➤ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს დაარსებიდან, ხოლო სამაგისტრო “მათემატიკა” აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც მოიცავს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი;
- არჩევითი კონცენტრაციები (გეომეტრია-ტოპოლოგია; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია; მათემატიკური ანალიზი, ალბათობის თეორია) - 60 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს არჩევითი კონცენტრაციის სავალდებულო კურსებს - 30 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი;
- პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მათემატიკის მაგისტრი.

➤ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 23 აგვისტოს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 5 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეორე სტანდარტის 2.1 და 2.6 ქვესტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.2, 2.3, 2.4, 2.5 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტის 5.1 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 და 5.3 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

➤ **რეკომენდაციები**

- პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები დაბალანსებულად მოიცავდეს სამივე კონცენტრაციის შესაბამისი დონის საკითხებს;
- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე);
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მოცემული დავალებების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
- რეკომენდებულია, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდეს კონკრეტულად სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით.

➤ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სწავლის შედეგების რუკაში აისახოს სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის ხარისხი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება ან სხვ);
- სასურველია, პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა სფეროებში მათემატიკური აპარატის გამოყენებებზე;
- სასურველია, პროგრამის სავალდებულო კურსები დაბალანსდეს სამივე არჩევითი კონცენტრაციის სასწავლო კურსებით.
- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გათვალისწინებული იყოს სტუდენტის GPA-ის გამოთვლისას.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესთან დაკავშირებით;
- სასურველია ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვ);
- სასურველია, პროგრამის განხორციელებისთვის და განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯები ჩაიშალოს საჭიროებების მიხედვით.

➤ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- მისასაღმებელი პრაქტიკაა მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, რომელიც საშუალებითაც:

- გამარტივებულია სტუდენტური სერვისებით სარგებლობა;
- შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება და ა. შ.

➤ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში უნივერსიტეტმა სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვის პროცესს.

➤ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2012 წლიდან პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ:

- პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან;
- განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა.
- შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და ჩამოყალიბდა 3 არჩევითი კონცენტრაცია: **გეომეტრია-ტოპოლოგია; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია; მათემატიკური ანალიზი, ალბათობის თეორია;**
- ცვლილებები შევიდა პროგრამის სასწავლო გეგმაში, კერძოდ:
 - სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა შემდეგი კურსები: „განზომილების თეორია“ და
 - „ფუნქციონალური ანალიზი“.
 - არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში გადავიდა „უწყვეტი ჯგუფები“, „აბსტრაქტული ჰარმონიული ანალიზი“, „კომპიუტერული ალგებრისა და გამოთვლების სისტემა Mathematica“.
 - სასწავლო კურსი „ფურიეს მწკრივები“ შეიცვალა სასწავლო კურსით - „ფურიეს ანალიზი“. სასწავლო კურსები: „მრავალი ცვლადის დიფერენციალური აღრიცხვა“ და „ფურიეს ანალიზი“ გადატანილი იქნა მათემატიკური ანალიზისა და ალბათობის თეორიის კონცენტრაციაში.
 - სავალდებულო სასწავლო კურსი „აფინური გეომეტრია და წრფივი ალგებრა“ გადატანილი იქნა არჩევით კურსებში, ხოლო არჩევითი კურსები: „კატეგორიები და ფუნქტორები“ და „ძლიერი შეიპები და ჰომოლოგიები“ გადატანილი იქნა გეომეტრია-ტოპოლოგიის კონცენტრაციაში.
 - მათემატიკური ლოგიკის, ალგებრის და რიცხვთა თეორიის კონცენტრაციას დაემატა სასწავლო კურსები: „სიმრავლეთა თეორია“ და „გალუას თეორია“
 - პროგრამას დაემატა არჩევითი კურსები: ინგლისური ენა (მათემატიკოსებისთვის), მათემატიკური მოდელირება, მასობრივი მომსახურების თეორია, წრფივი ალგებრის რჩეული საკითხები.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ცვლილებების ნაწილი განხორციელდა 2012 წლის პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზანს და სტრატეგიულ გეგმას.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ;

პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებთან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

- მოამზადოს მათემატიკის მაგისტრები, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებებში, შეეძლებათ მათემატიკის სხვადასხვა სფეროს უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ორიგინალური იდეების შემუშავება და მათი კვლევაში გამოყენება; უზრუნველყოს მაგისტრანტების დარგობრივი და სამეცნიერო ინტერესების დაკმაყოფილება მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში კონცენტრაციის შეთავაზებით;
- კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს სხვადასხვა დარგობრივ სფეროში წარმოქმნილი, რთული პრობლემის ინოვაციური, მათემატიკური მეთოდებით გადაჭრის უნარები;
- კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბოს, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოებისთვის თავისი დასკვნების, არგუმენტაციების, კვლევის მეთოდებისა და შედეგების გაცნობის უნარ-ჩვევები.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია გვამღებებს იმის თქმის უფლებას, რომ ჩამოყალიბებული მიზნები რეალისტური და მიღწევადია.

საკრედიტაციო პროგრამა ძირითადად თეორეტიკოს მათემატიკოსის აღზრდაზეა ორიენტირებული, რაც მათ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს შრომის ბაზრის საგანმანათლებლო და ნაწილობრივ სამეცნიერო სექტორში. პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან რეგიონის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელში. დამსაქმებლები მაღალ შეფასებას აძლევენ მათ კვალიფიკაციას.

სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ პროგრამის განვითარებისა

და განახლების პროცესში ჩართული იყო განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები, რომელთა ქმედითი მონაწილეობით განხორციელდა რიგი ცვლილებები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უნივერსიტეტის მისია;
 - უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - თანამშრომელთა პირადი საქმეები;
 - დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მათემატიკური დებულებების ჩამოყალიბება და დამტკიცება, მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზი;
- მათემატიკური ამოცანის მოცემულობების და დაშვებების საფუძველზე ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის აგება და განვითარება;
- თეორიული პრობლემების და ამოცანების გამოკვლევა და მათემატიკური ტექნიკის გამოყენება ამოხსნის მეთოდების ჩამოსაყალიბებლად და თვისებათა ანალიზისათვის.

„გეომეტრია-ტოპოლოგიის“ კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებული შეძლებს გეომეტრიაში, ტოპოლოგიაში, ჰომოტოპიისა და ჰომოლოგიის თეორიაში ფუნდამენტური საკითხების ლოგიკურ გაანალიზებას და მათ დაკავშირებას სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან;

- კურსდამთავრებული ახდენს მათემატიკასა და სხვა დარგებში დასმული ამოცანების მოდიფიცირებას, მათ გადასაჭრელად სათანადო გეომეტრიული/ჰომოლოგიური ან ჰომოტოპიური მოდელების მისადაგებას და გადაჭრას.

„მათემატიკური ლოგიკის, ალგებრისა და რიცხვთა თეორიის“ კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებული შეძლებს მათემატიკურ ლოგიკაში, ალგებრასა და რიცხვთა თეორიაში ფუნდამენტური საკითხების ლოგიკურ გააზრებას და მათ დაკავშირებას სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან;
- ახდენს მათემატიკასა და სხვა დარგებში დასმული ამოცანების მოდიფიცირებას, მათ გადასაჭრელად სათანადო ალგებრული მოდელების მისადაგებას და გადაჭრას.

„მათემატიკური ანალიზისა და ალბათობის თეორიის“ კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებული შეძლებს ზომის თეორიის, ალბათობის თეორიის. კომპლექსურ ანალიზის. მწკრივთა თეორიის ფუნდამენტური საკითხების ლოგიკურ გააზრებას და მათ დაკავშირებას სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ პრობლემებთან;
- შეძლებს თანამედროვე ანალიზის სხვადასხვა ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის გააზრებას, უახლოესი მეთოდების გამოყენებით პრობლემისადმი ორიგინალური მიდგომის მოფიქრებას და პრობლემის გადაჭრის ახალი გზის მოძებნას.

უნარი

- ექნება კონკრეტული მათემატიკური პრობლემის დასმის, მასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევისა და გადაწყვეტის უნარი;
- აწარმოებს მსჯელობას მათემატიკაში დამკვიდრებული დებულებებისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, გამოაქვს შესაბამისი ლოგიკური დასკვნები;
- შეუძლია მათემატიკური თეორიის აგება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული შედეგების შესახებ სამეცნიერო შრომის მომზადება და მოხსენების გაკეთება ქართულ და უცხოურ ენაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- აცნობიერებს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და იცავს მათ;
- მათემატიკის თანამედროვე მიმართულებებიდან განსაზღვრავს აქტუალურ დარგს, დამოუკიდებლად წარმართავს პროფესიულ საქმიანობასა და თვითგანვითარების პროცესს.

პერსონალის კვალიფიკაციამ, სასწავლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობამ, სასწავლო-ტექნიკური ბაზების დათვალიერებამ, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად მიღწევადია.

თანამედროვე ეტაპზე დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ მათემატიკოსებზე როგორც განათლების სისტემაში, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოში შემცირდა ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. აღიშნული პროგრამის წარმატებით ფუნქციონირება მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე ამ მიმართულებით არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად როგორც რეგიონის დონეზე, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით ყოველწლიურად, სპეციალური კითხვარების საშუალებით ტარდება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. გარდა ამისა

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კერძოდ იმ ქულების ანალიზს, რომლებსაც ისინი აგროვებენ გამოცდების შედეგად, ასევე სხვადასხვა სახის აქტივობებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სასწავლო კურსის სილაბუსებში არის აღწერილი.

პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან და ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე, საიდანაც ნათლად ირკვევა თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კომპონენტებით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი. თუმცა რუკაში არ ჩანს, თუ რა დონის კავშირია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). შესაბამისად, სასურველია აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, დადგენილია მონაცემების შეგროვებისა და შემოწმების პერიოდი და პასუხისმგებელი პირებიც.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 სასურველია, სწავლის შედეგების რუკაში აისახოს სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის ხარისხი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება ან სხვ).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N 59 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B1 დონე);
- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

პროგრამის აღწერა, ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგამოცდო საკითხების და პროგრამაზე მიღების წესის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია აგრეთვე ბსუ-ს პორტალზე, სადაც რეგისტრირებული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა, კანონმდებლობის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა საგამოცდო საკითხები სპეციალობაში, რათა დაედგინა მათი შესაბამისობა პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობასთან.

პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო ბილეთები დაბალანსებულად მოიცავდეს სამივე კონცენტრაციის საბაზო საკითხებს;
- სასწავლო კურსების ძირითადი სავალდებულო ლიტერატურა ინგლისურენოვანია, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- საგამოცდო საკითხები სპეციალობაში;
- ინტერვიუს შედეგები.

| |
|--|
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები დაბალანსებულად მოიცავდეს სამივე კონცენტრაციის საბაზო საკითხებს; • რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე). |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| <p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ დებულებების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას.</p> <p>პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი; • არჩევითი კონცენტრაციები (გეომეტრია-ტოპოლოგია; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია; მათემატიკური ანალიზი, ალბათობის თეორია) - 60 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს არჩევითი კონცენტრაციის სავალდებულო კურსებს - 30 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი; • პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი. <p>იმისათვის, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი იყვნენ შრომის ბაზარზე, მნიშვნელოვანია, რომ მათ ქონდეთ პრაქტიკულ ამოცანებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარები. აქედან გამომდინარე, სასურველია გაიზარდოს მათემატიკური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების სწავლება. ეს გაზრდის დამსაქმებელთა ინტერესს პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ, რაც თავის მხრივ გააძლიერებს</p> |
|--|

ახალგაზრდების დაინტერესებას აღნიშნულ პროგრამაში მოსახვედრად. პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლის პროცესში აირჩიონ ერთ-ერთი შემდეგი სამი კონცენტრაციიდან: გეომეტრია-ტოპოლოგია, მათემატიკური ლოგიკა-ალგებრა-რიცხვთა თეორია, მათემატიკური ანალიზი-ალბათობის თეორია. პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია გეომეტრია-ტოპოლოგიის კონცენტრაციის სტუდენტების მომზადებაზე. ამ მიმართულების საგნებს დათმობილი აქვს სავალდებულო სასწავლო კურსების ნახევარი. დანარჩენი კონცენტრაციის საგნები სავალდებულო კურსებში შედარებით ნაკლები მოცულობითაა წარმოდგენილი. სასურველია, რომ კონცენტრაციებს შორის საგნების რაოდენობა უფრო დაბალანსდეს.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
 - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
 - უნივერსიტეტის ვებგვერდი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა სფეროებში მათემატიკური აპარატის გამოყენებებზე;
 - სასურველია, პროგრამის სავალდებულო კურსები დაბალანსდეს სამივე არჩევითი კონცენტრაციის სასწავლო კურსებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება შესაბამისი საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და

| |
|--|
| <p>დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება მოცემულია კურსის სილაბუსებში და მოიცავს შეფასების კომპონენტებს.</p> <p>ცოდნისა და უნარების კომპეტენციების მიღწევა ძირითადად უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. რიგ სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია კლასიკური ინგლისურენოვანი გამოცემები, მომზადებულია სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსიები. მათზე წვდომის შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა სასწავლო კურსის დარეგისტრირებისთანავე, სტუდენტური პორტალის საშუალებით.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • კურიკულუმის რუკა; • სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები; • უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი; • ინტერვიუს შედეგები. |
| <p>რეკომენდაციები:</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|---|
| <p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> |
| <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> |

| |
|---|
| <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში. თეორიული მასალის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა სახის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებიდან.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რიგი სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი აქტივობები (რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება, პროექტის შექმნა/განხორციელება) ეტაპობრივად გამოუმუშავებს სტუდენტს პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. კვლევითი და პრაქტიკული უნარების გაღრმავებისა და შეჯამების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და მას სტუდენტი ასრულებს კვალიფიციური პირის ხელმძღვანელობით. იგი წარმოადგენს კვლევით კომპონენტს. ნაშრომის ორიგინალობის ხარისხის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენის სპეციალური პროგრამა (Turnitin).</p> <p>ყოველწლიურად უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო/პრაქტიკული კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს შეუძლია წარადგინოს ნაშრომი და გამოვიდეს მოხსენებით. მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება საუკეთესო მოხსენებების გამოვლენა-დაჯილდოება და შერჩეული ნაშრომების გამოქვეყნება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში.</p> <p>სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი“; • უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა; • სტუდენტური კონფერენციის პროგრამები; • ინტერვიუს შედეგები. |
| <p>რეკომენდაციები:</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| <p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების</p> |
|--|

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების ელემენტები და სხვ. აღნიშნული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სამაგისტრო პროგრამა;*
- *სასწავლო კურსების სილაბუსები;*
- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;*
- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;*
- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდა 40, ხოლო შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება, ამასთან დარჩენილი 40 ქულა პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ ნაწილდება მიმდინარე აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ **სასურველია**, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი.

შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობაში არ არის მოცემული შუალედურ და დასკვნით გამოცდებში მოცემული დავალების „განმარტებები ან/და ფაქტები“ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები, შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1¹ მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მოცემული დავალებების - „განმარტებები ან/და ფაქტები“ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, რაც გამოიხატება საჭიროებისამებრ ტრენინგ-კურსებისა და კონსულტაციების გამართვაში.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება ნაშრომების დაშიფვრა, რაც ხელს უწყობს შემფასებლის მხრიდან მეტ ობიექტურობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არ არის დეტალიზირებული ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები, რაც აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტითა და 1¹ მუხლის „მ“ პუნქტით სავალდებულოა, ამიტომ **რეკომენდებულია** უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში მოქმედი რეგულაციის მიხედვით, ე. წ. GPA (Grade Point Average) - სტუდენტის/კურსდამთავრებულის დიპლომის შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად მხედველობაში მხოლოდ სასწავლო კურსებში მიღებული შედეგები გამოიყენება, შესაბამისად, GPA-ის გამოთვლაში არ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება, როგორც ინტერვიუს დროს განიმარტა, გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომში არ იღებს ქულობრივ შეფასებას, აღნიშნული აღარ დაიანგარიშება GPA-ის გამოთვლისას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო

ნაშრომი წარმოადგენს კვალიფიკაციის მინიჭებს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს და აქვს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საკმაოდ დიდი წილი (30 ECTS/კრედიტი) **სასურველია** სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გათვალისწინებული იყოს სტუდენტის GPA-ის გამოთვლისას.

დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი გადის რეცენზირებას და მოწმდება პლაგიატის პროგრამის მეშვეობით, რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა. ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაინერგა პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“, რომელიც დაინსტალირდა Moodle-ს სისტემაში, უსდ-ის აკადემიური საბჭოს № 06-01/50 და №06-01/71 დადგენილებებით განსაზღვრულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების სტანდარტები.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები მეტწილად არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც. აპელაციის მექანიზმის მიხედვით, შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ის წერილობით საჩივარს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, რომელიც რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ლექტორი შეფასებას ობიექტურად მიიჩნევს, ხოლო სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება მის პოზიციას, დეკანს უფლება აქვს საჩივარი განსახილველად გადასცეს კომისიას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;*
- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია“;*
- *უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი“;*
- *მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;*
- *თვითშეფასების დოკუმენტი;*
- *უნივერსიტეტის ვებგვერდი;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მოცემული დავალებების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გათვალისწინებული იყოს სტუდენტის GPA-ის გამოთვლისას. |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|--|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს. ამასთან, სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაცია ეხმარება სტუდენტებს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.</p> <p>აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, ინტერვიუს დროს სტუდენტის მხრიდან აღინიშნა, რომ სწორედ აღნიშნული სერვისის საშუალებით დასაქმდნენ. აგრეთვე აღნიშნული სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს.</p> <p>უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს</p> |

აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით კი სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ, ასევე მიმდინარე სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და ბსუ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით ონლაინ რეჟიმში სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია, სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში უნივერსიტეტმა სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რათა სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

უნივერსიტეტში ში სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, ასევე მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც „ერასმუს+“ - ის საერთაშორისო მობილობებში, ასევე სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტის გაცვლით პროექტებში. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შემდეგ სასწავლო სემესტრს გაატარებს ესპანეთში „ერასმუს+“ - ის სტიპენდიით, ასევე დადასტურდა წინა წლებში სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა გაცვლით პროექტში.

კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს. ამასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, ასევე არსებობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წახალისების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საღამოს საათებში, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს სწავლისა და დასაქმების შეთავსებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სამუშაოს აღწერილობა;
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი;
- სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წახალისებელი წესი;

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების ცხრილი;
- სტუდენტური პორტალი - <https://portal.bsu.edu.ge/>;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასაღებელი პრაქტიკაა ელექტრონული პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
- ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში უნივერსიტეტმა სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვის პროცესს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი. ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ბსუ-ს დოქტორანტი (მხოლოდ სასწავლო კომპონენტის შესრულების შემდეგ).

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ იმ საკვლევი თემატიკიდან, რომელსაც მათემატიკის დეპარტამენტი წარუდგენს მაგისტრანტს ასარჩევად, ან სტუდენტის მიერ შერჩეული თემის მიხედვით სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში. ასევე აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში მაგისტრანტს შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შესაძლოა არ იყოს აკადემიური პირი და

| |
|---|
| <p>წარმოადგენდეს მოწვეულ სპეციალისტს, მაგრამ აუცილებელია ჰქონდეს კვლევითი საქმიანობის საკმარისი გამოცდილება, გამოქვეყნებული ჰქონდეს სტატიები მაღალრეიტინგულ ჟურნალებსა და სამეცნიერო ფორუმების კრებულებში.</p> <p>უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება ბსუ-ის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილებით და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის პროცესს მთელი სემესტრის მანძილზე. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან კვლევის დიზაინისა და კვლევის მენეჯმენტის საკითხების ირგვლივ, სამუშაოს ნაწილს კი სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ხარჯზე. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 5 სამაგისტრო ნაშრომი. ნაშრომების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ძირითადად სტუდენტები ეყრდნობიან 2000 წლამდე გამოცემულ ლიტერატურას. ამავე დროს არ არის გამოყენებული ლიტერატურის ციტირების ერთიანი წესი. შესაბამისად, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და გამოყენებულ იქნას ციტირების ერთიანი წესი.</p> <p>მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და დაცვის პროცედურები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ვიზიტის ფარგლებში</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> |
| <p>რეკომენდაციები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესთან დაკავშირებით; • სასურველია ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვ); |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან უშუალოდ შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პერსონალის რაოდენობა არის 14. მათ შორის 13 აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი - 4, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 7, აფილირებული ასისტენტ პროფესორი 2). აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (13 აკადემიური/1 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, მათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, სამეცნიერო საგრამტო პროექტებში ჩართულობითა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით.

პერსონალის დატვირთვას არეგულირებს უნივერსიტეტის შესაბამისი აქტები (რექტორის ბრძანება, დეკანის წარდგინება, დეკანის სამსახურეობრივი ბარატი).

პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> • პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები; • პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება.</p> <p>ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკვლევა პროგრამის თითოეულ საგანთან და ამ საგნის ლექტორთან მიმართებაში. გარდა ამისა, ფასდება ლექტორის ჯგუფების აკადემიური მოსწრება და სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ ლექტორთან მუშაობის პროცესში.</p> <p>ბსუ-ს ელექტრონულ ბაზაში ხდება პერსონალის ყოველწლიურად ამზადებს გავლილი წლის სამეცნიერო მუშაობის ასახვა და ანალიზი. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მისი პერსონალი სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში ჩართულობას, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და აფინანსებს სამივლინებო ხარჯებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და პუბლიკაციებისთვის საჭირო ხარჯებს.</p> <p>პერსონალის CV ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისას.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის CV; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან; • ინტერვიუ ანალოგიური პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

| |
|---|
| შემთხვევაში) |
| შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე არის უკაბელო ინტერნეტი. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზითა და ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე გადაიღონ საჭირო მასალების ასლები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია Scopus-ის ბაზა, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს.
 შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიების გარდა, უნივერსიტეტში არის კომპიუტერებით აღჭურვილი თავისუფალი სამუშაო სივრცეები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ჯგუფურად, ისევე ინდივიდუალურად.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები;
 - ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
 - დისტანციურად განხორციელებული დათვალიერების შედეგები;
 - ფაქტობრივი მდგომარეობა;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

| |
|---|
| შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განცხადებით, უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ფუნდამენტური მეცნიერებების ხელშეწყობა, მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება არის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტში შემოსავალი შეადგენს 225000 ლარს, ხოლო ხარჯი 17450 ლარს. პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება სტუდენტების გადასახადებისაგან..

პროგრამის ბიუჯეტი, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან აჩვენებს, რომ პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაიშალოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ პროგრამის მდგრად დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განხორციელებისთვის და განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯები ჩაიშალოს საჭიროებების მიხედვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკით (დამტკიცებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს #06-01/91 დადგენილებით). ასევე, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და განვითარება.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

საფაკულტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გამოკითხვებისთვის კითხვარის მომზადების პროცესში, კვლევების ჩატარებაში, გამოკითხვების ანალიზში. დამუშავებული შედეგები მიეწოდებათ დაინტერესებულ მხარეებს - პროგრამის ხელმძღვანელს, სამუშაო ჯგუფს, ფაკულტეტის საბჭოს. პროგრამის შემუშავებისას პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხს, რომელიც განხილვის შემდეგ გასცემს რეკომენდაციებს - ლიტერატურა რამდენად არის თანამედროვე, სწავლება სწავლის მეთოდები რამდენად რელევანტურია, წინაპირობებთან დაკავშირებით, აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს მოხსენებებს/ანგარიშს ჩატარებული კვლევების შესახებ და გასცემს რეკომენდაციებს.

შიდა ხარისხის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დასწრებას, რესურსების (ლააბორატორიული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების არსებობის, და სხვ) არსებობის/საჭიროების მონიტორინგს და ა.შ.;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს კვლევების/გამოკითხვების ჩატარებას, მიღებული შედეგების ანალიზს, რომლის საფუძველზე შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს პროგრამაში - სწავლება/სწავლის მეთოდების, ლიტერატურის თუ სასწავლო კურსის შინაარსის კუთხით. ასევე ყურადღება ექცევა სტუდენტების შეფასების ანალიზს (გაუსის განაწილებიდან გადახრას არსებობის შემთხვევაში ხდება უფრო ჩაღრმავებული კვლევა); კვლევის ანალიზით მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ აკადემიურ საბჭოს ანგარიშის სახით.

აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში ვერ ხერხდება დამსაქმებელთა შეფასებების და

გამოკითხვის შედეგების გამოჯვანა მათემატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. დაწესებულებასთან განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი და მათ დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული ანალიზი ერთობლივია და გაკეთებულია ორივე პროგრამისთვის. თუმცა, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო კონკრეტულად პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; დაწესებულების პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების ანალიზი ხორციელდება სამეცნიერო კვლევების სამსახურის, რექტორის მოადგილის, დეკანის, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ. შედეგების ანალიზი, რეაგირების მექანიზმები და შესრულების ვადები გაწერილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით №06-01/90 დამტკიცებულ „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის“ დოკუმენტში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროსაც გამოჩნდა, რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჩატარებული კვლევები
- პროგრამა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

| |
|--|
| რეკომენდებულია, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტის შემუშავება განხორციელდეს კონკრეტულად სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება და სხვ. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას; საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება დამსაქმებელთა შეფასებები. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა.</p> <p>დამსაქმებელთა მოსაზრებების მისაღებად შემუშავებლ იქნა კითხვარი, რომელიც იკვლევს დამსაქმებლის მოსაზრებებს კურსდამთავრებულისთვის აუცილებელ კომპეტენციებთან (თეორიული მომზადების დონე, პრაქტიკული უნარების ფლობის უნარი და ა.შ.) დაკავშირებით, ასევე ახდენს მათი სხვადასხვა უნარის შეფასებას (კომუნიკაციის უნარი, დროის მენეჯმენტის ფლობის უნარი და ა.შ.) და იძლევა პროგრამის განვითარება-გაძლიერების მიზნით დამსაქმებლის მიერ მოცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით ცვლილებების დაგეგმვის საშუალებას.</p> <p>დამსაქმებელთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად:</p> <ul style="list-style-type: none"> • არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში გადატანილი იქნა სასწავლო კურსი: „კომპიუტერული ალგებრისა და გამოთვლების სისტემა Mathematica“; • არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა „კომპიუტერული მათემატიკის სისტემა MathCad“, „კომპიუტერული მათემატიკის სისტემა MatLab“, „მათემატიკური მოდელირება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| <ul style="list-style-type: none"> • დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ანალიზი; • სამაგისტრო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები: |

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| <p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სასწავლო პროცესის მონიტორინგი - ურთიერთდასწრება, შეფასებების მონიტორინგი, სტუდენტთა გამოკითხვები, სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით, საგნობრივი გამოკითხვები - ლიტერატურა, სწავლება სწავლის მეთოდები, შეფასებები, ტარდება ასევე პედაგოგების გამოკითხვები. ხარისხის სამსახური წარადგენს კვლევებს ფაკულტეტის საბჭოზე და დაყენებულ საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამებში შინაარსობრივად და განხორციელების თვალსაზრისით. შეფასებისას სავალდებულოა პროგრამულად კომენტარის -ე.წ. "უკუკავშირის" მიცემა - კომენტარის გარეშე შეფასება პროგრამულად არ სრულდება.</p> <p>უნივერსიტეტში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, ურთიერთდასწრებას, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით, საგნობრივი გამოკითხვები - ლიტერატურა, სწავლება სწავლის მეთოდები, შეფასებები, ტარდება ასევე პედაგოგების გამოკითხვები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს კვლევებს და შედეგებს ფაკულტეტის საბჭოზე და დაყენებულ საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამებში შინაარსობრივად და განხორციელების თვალსაზრისით. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.</p> <p>პროგრამის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვას და მათი მოსაზრებების გათვალისწინება ხდება პროგრამაში. აღნიშნულ ელექტრონულ პორტალზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ გამოკითხვასთან ერთად, ხდება დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.</p> <p>ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონტროლდება შეფასებების დროულობა, შეფასებასთან დაკავშირებული უკუკავშირი (რომელიც პორტალის საშუალებით</p> |
|---|

სავალდებულოა. კომენტარის გარეშე პედაგოგი შესრულებას ვერ დაასრულებს).

სალექციო პროცესის მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ლექციებზე დასწრება. დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის შემდეგ ელექტრონულ პორტალზე ჩაშენებული შესაბამისი “ლილაკის” მეშვეობით შესაბამისი ავტორიზაციის მქონე პირს/პირებს შეუძლია შეუერთდეს სალექციო პროცესს და შეაფასოს იგი.

აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ორი მიმართულებით - აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობით - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პორტალი, რომელზეც პერსონალი ავსებს წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს და ტვირთავს დამადასტურებელ დოკუმენტაციას. შეფასება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით განსაზღვრული პირების მიერ

კვლევების შედეგების წარდგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
 - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
 - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
 - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
 - ჩატარებული კვლევები;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
|-----------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|

| | | | | |
|---|---|--|--|--|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |
|---|---|--|--|--|

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
მათემატიკა, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის


სახელი, გვარი, ხელმოწერა



/რომეო გალდავა/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/გიორგი დალაქიშვილი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/მამუკა ნადარიშვილი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/ნინო ჯოჯუა/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/ნიკა გიგაური/